ხელშეკრულება № 28

ქ. თბილისი

29/04/2016წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. "პრინტარეა" (შემდეგში – **"შემსრულებელი"**), მისი დირექტორის თინათინ სანაძის სახით და **მეორეს მხრივ** ა(ა)იპ „საჩხერის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი" (შემდგომში – **"დამკვეთი"**), მისი ოპერაციების დირექტორის - ბერიკა დეკანოიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "დამკვეთი" უკვეთავს და შესაბამისად უხდის "შემსრულებელს" შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურების საზღაურს, ხოლო "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს ბეჭდვის მომსახურების გაწევა, წინასწარ დაკვეთილი პარამეტრების დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად.

1.2. **გასაწევი მომსახურების დასახელება:** 1 ცალი შტენდერის კონსტრუქცია ბანერით,რომელიც უნდა ჩაბარდეს 3 მაისს . საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ტრანსპორტირების მომსახურება.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება იდება ერთი თვის ვადით.

2.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

2.3. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა და რომელიმე მხარე ორი კვირის განმავლობაში არ მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტა ან შეცვლა, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად ყოველი მომდევნო ერთი წლის ვადით.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. ყოველი კონკრეტული შეკვეთის ბეჭდვისა და გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შეკვეთის მოცულობის, პარამეტრებისა და ტირაჟის გათვალისწინებით, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

3.2. გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებას **140 ლარს** "დამკვეთი" იხდის "შემსრულებლის" მიერ მიწოდებული ინვოისის საფუძველზე არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში.

3.3. პოლიგრაფიულ მასალებზე, ენერგორესურსების ფასების, მინიმალური ხელფასის, სატრანსპორტო ხარჯებისა და სხვათა შეცვლის ან მომატების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ზოგადად დადგენილ ფასებში შესაძლებელია შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები.

3.4. მხარეები ითვალისწინებენ, იმ გარემოებას, რომ დაკვეთის დასამზადებლად საჭირო მასალების შეძენა დაკავშირებულია აშშ დოლარის კურსთან, შესაბამისად შემსრულებლის ფინანსური რისკების დაზღვევის მიზნით, მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ თუ, დამკვეთი წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ მოახდენს ანგარისსწირებას შემსრულებელთან, ასეთ შემთხვევაში დავალიანების თანხას შემსრულებელი, დაკვეთის მიწოდების დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, დააფიქსირებს დავალიანებას აშშ დოლარში და თუ ანგარისსწორების განხორციელებამდე მოხდება აშშ დოლარის კურსის მომატება, დამკვეთი ვალდებულია ანგარისსწორება განახორორციელოს შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული აშშ დოლარის შესაბამისად, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით ლარში.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. "დამკვეთი" ვალდებულია:

4.1.1. წინასწარ შეუთანხმოს "შემსრულებელს" დასაბეჭდი შეკვეთის ტირაჟი და ტექნიკური პარამეტრები.

4.1.2. შეკვეთის შეთანხმებული პარამეტრების ან ქაღალდის ფორმატის შეცვლის შემთხვევაში, აცნობოს "შემსრულებელს" წინასწარ ერთი დღით ადრე, დღის 12 საათამდე.

4.1.3. შესრულებული სამუშაოსა და გაწეული მომსახურებისათვის დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება "შემსრულებელთან".

4.1.4. გამოცემის ჩავარდნის შემთხვევაში ერთი დღით ადრე აცნობოს "შემსრულებელს".

4.2. "შემსრულებელი" ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს წინასწარ დაკვეთილი ტირაჟით შეკვეთის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაუწიოს დამკვეთს სატრანსპორტო მომსახურება.

4.2.2. ხანძრის, ავარიის ან სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რომელიც შეაფერხებს "შემსრულებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, დაუყონებლივ აცნობოს "დამკვეთს".

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

5.2. თუ "დამკვეთმა" შესრულებული სამუშაოს და გაწეული მომსახურების ღირებულებას არ გადაუხდის შემსრულებელს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, მხარეები ვერ მორიგდებიან და დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს მიყენებულ ზიანთან ერთად დამატებით მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა 3000 (3000 ათასი) ლარის ოდენობით.

5.3. სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან წინამდებარე ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში "დამკვეთის" მიერ ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, "შემსრულებელს" უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების გაწევა დავალიანების სრულ დაფარვამდე და ამასთან დააკისროს საურავი გადასახდელი თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4. "შემსრულებელი" პასუხს აგებს ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხზე და მის დროულად გამოცემაზე.

5.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით (ხანძარი, აფეთქება, ავარია, წყალდიდობა და ა.შ.).

5.7. "შემსრულებელი" თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ "დამკვეთმა" შეკვეთის მომზადებისათვის აუცილებელი მასალა დაგვიანებით გადასცა "შემსრულებელს".

5.8. მიწოდებული მასალის ხარისხზე და კორექტურაზე პასუხისმგებელია "დამკვეთი".

6. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

6.1.1. მხარეთა შეთანხმებით.

6.1.2. მოქმედების ვადის გასვლის გამო.

6.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

7. დამატებითი პირობები

7.1. საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმებით და სათანადო ანაზღაურებით ჩავარდნილი ნომერი შესაძლებელია გამოიცეს დამატებით.

7.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას დამატების სახით.

7.3. მხარეები სადაო საკითხებს გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, დავას წყვეტს სასამართლო.

7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებლის სასარგებლოდ გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შევა კანონიერ ძალაში და მიექცევა აღსასრულებლად.

7.5. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

7.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი"	"დ ა მ კ ვ ე თ ი"
შპს **"პრინტარეა"** იურიდიული მის: ქ.თბილისი,რუსთაველის გამზ. 40/1 ტელ: 2999882 საიდ.კოდი: 404384395 ანგარიში, "ქართუ" – ბანკში ბანკის კოდი:GRTUG22 ა/ა: **GE36CR0000000012353602** **დირექტორი:** _____	ა(ა)იპ „საჩხერის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი" ს /კ 239396328 მისამართი . საჩხერე თავისუფლების 21 **დირექტორი:** _____